წყალი ჩვენი პლანეტის უდიდეს ნაწილს ფარავს და ის ყოველთვის ჩვენს ირგვლივაა. წყალი ყველა ცოცხალი ორგანიზმის უმთავრესი კომპონენტია. თითქოს და თანამედროვე მეცნიერებამ მის შესახებ ყველაფერი იცის. მაგრამ ეს ასე არაა. მე–20 საუკუნის ბოლოდან მიმდინარეობს მისი მე–4 მდგომარეობის – ინფორმაციის მიღების, შენახვის და გადაცემის თვისების შესწავლა.
თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ადამიანი, ასაკზე დამოკიდებულებით, 70–80% წყლისგან შედგება, ხოლო თავის ტვინის – 90%, უნებლიედ ვიწყებთ თვითონ ცხოვრების წესსა და აზროვნებაზე ფიქრს.

წყალი ეს არ არის მხოლოდ ნივთიერება თხევად ფაზაში, არამედ ესაა რაღაც, რასაც ინფორმაციის გადაცემა შეუძლია. წყლის ძირითად სტრუქტურას მილიარდობით პატარა 6 წიბოიანი რომბული ყინულის ნაწილაკები შეადგენენ. ყოველი წიბოს ზედაპირზე კი ელექტრო მუხტების, "პლიუსიკების" და "მინუსიკების", შემთხვევითი ნახატი შეიძლება იყოს ჩდებული. ეს მუხტები ჭარბობენ წყლის მოლეკულების ნაპირებზე. ზუსტად ეს არის წყლის "მეხსიერება". წყლის კრისტალური სტრუქტურა ხსნის წყლის ისეთ ბევრ თვისებბას, რომელსაც აქამდე ახსნას ვერ უძებნიდნენ.

წყალზე აზროვნებითაც შეიძლება ზემოქმედება, ამის გაკეთება მეტნაკლებად ყველა ადამიანს შეუძლია. ასე შეიძლება წარმოიქმნას "ცოცხალი" და "მკვდარი" წყალი. შესაბამისად ერთში ელექტროგამტარობა მეტია ვიდრე მეორეში. ეს წყლები განსხვავებულად ზემოქმედებენ ცოცხალ ორგანიზმებზე: "ცოცხალი დადებითად, ზოგჯერ სამკურნალო თვისებებიც აქვს, "მკვდარი" _ უარყოფიდად, მან შეიძლება ქსოვილების ან მთლიანად ორგანიზმის კვდომაც კი გამოიწვიოს.

იაპონელმა მეცნიერმა, დოქტორმა ემოტომ ჩაატარა კვლევები ლაბორატორიაში. მან წყლის ნიმუშები მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებიდან აიღო და მასზე სხვადასხვა გზით ახდენდა ზემოქმედებას: მუსიკა, გამოსახულებები, ტელევიზორის ელ. მაგნიტური გამოსხივება, ერთი ადამიანის და ხალხის ჯგუფის აზრები, ლოცვები, დაბეჭდილი და წარმოთქმული სიტყვები.

ბუნებაში არსებობს 10% ავადმყოფობის გამომწვევი მიკროორგანიზმები და 10% სასარგებლოები. დანარჩენ 80% თავიანთი თვისებების ცვლა შეუძლიათ. დოქტორი ემოტო ვარაუდობს რომ დაახლოვებით ესეთი პროპორცია არსებობს ადამიანებშიც.

წყლის კრისტალური სტრუქტურა შესდგება კლასტერებისაგან (მოლეკულების დიდი ჯგუფები). "დურაკი"–ის მსგავსი სიტყვები ამ კლასტერებს ანადგურებს. ნეგატიური სიტყვები აყალიბებენ მსხვილ კლასტერებს ან სულაც არ აყალიბებენ მათ, დადებითები და ლამაზი სიტყვები კი წვრილ დაძაბულ კლასტერებს წარმოქმნიან. რაც ურო წვრილია კლასტერი, მით უფრო მეტ ხანს ინახავს წყლის მეხსიერებას. კლასტერებს შორის თუ ძალიან დიდი ინტერვალებია, მაშინ მათში სხვა ინფორმაცია ადვილად აღწევს და არღვევს მათ მთლიანობას და ამ გზით ანადგურებს ინფორმაციას. მათ შორის შეღწევა ზოგ შემთხვვაში მიკროორგანიზმებსაც შეუძლიათ. კლასტერების დაძაბული, მჭიდრო სტრუქტურა ინფორმაციის ხანგრძლივი შენახვისთვის ყველაზე ოპტიმალურია.

დოქტორი ემოტოს ლაბორატორიაში ჩაატარეს მრავალი ექსპერიმენტი, რომელიც მიზნად ისახავდა იმ სიტყვის პოვნას, რომელიც ყველაზე კარგ გავლენას ახდენს წყალზე, შედეგად დადგინდა, რომ ეს ერთი სიტყვა კი არა ორი სიტყვის შეხამებაა: "სიყვარული და მადლიერება".

ზემოთ მოყვანილი ცნობების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ:

- სიკეთე წყალზე შემოქმედებითად მოქმედებს. ბოროტება _ ანადგურებს
- სიკეთე პირველადია, ბოროტება მეორადი. სიკეთე აქტიურია და თავისით მუშაობს თუ ბოროტებას მოვაშორებთ. ამიტომაც მსოფლიო რელიგიების ლოცვები შეიცავენ გონების მოუსვენრობისგან, "ხმაურისგან" და ეგოიზმისგან განწმენდას.
- ადამიანის გონება ყოფაზე იმაზე მეტად ახდენს გავლენას, ვიდრე საქციელი.
- სრულყოფილების პროცესი დაფუძნებულია სიყვარულზე (ლმობიერებაზე და თანაგრძნობაზე) და

მადლიერებაზე.
- როგორც ჩანს, მძიმე მუსიკა და ნეგატიური სიტყვები მსგავს გავლენას ახდენენ ცოცხალ ორგანიზმებზე.